გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
დადგენილება № 15
2020 წლის 13 მარტი
ქ.გორი

"საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

"საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 19/04/2018; N010250050.35.148.016475) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. ინფორმაციის თავისებურებებიდან გამომდინარე, ინფორმაცია ვებგვერდზე, განთავსდება PDF, Word ან/და Excel ფორმატში.";

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაცია (პროგრამები, სამართლებრივი აქტები, შესრულების ანგარიშები, განაცხადის/აპლიკაციის

ფორმა). ვებგვერდის შესაბამის ნაწილში/განყოფილებაში განთავსების გარდა, ასევე უნდა განთავსდეს ერთ ნაწილში/განყოფილებაში, კონსოლიდირებულად.

6. ამ წესის მე-4 მუხლის „ქ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მისი თავისებურებისა და დანიშნულების გათვალისწინებით ვებგვერდზე განთავსდება Word ან/და Excel ფორმატში.";

3. მე-4 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა (ანგარიში) და წლიური ანგარიშები, საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;";

4. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹" ქვეპუნქტი:

„ე¹) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების ანგარიშები, მათი შედგენიდან ან/და წარდგენიდან 10 დღის ვადაში;";

5. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ¹" ქვეპუნქტი:

„ვ¹) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების პროექტები, მათი შედგენიდან ან/და წარდგენიდან 10 დღის ვადაში;";

6. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს¹" ქვეპუნქტი:

„ს¹) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები/ქვეპროგრამები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის ცვლილებები). მათი ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში). უნდა გამოქვეყნდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცვლილება, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კონსოლიდირებული ვერსია;";

7. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ" ქვეპუნქტი:

„ქ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებში/ქვეპროგრამებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საპროექტო განაცხადის/განაცხადის/აპლიკაციის ფორმები, მათი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე